



საზავშვო ქრისტიანული უყრნალი

3

2023



შეიქმედოს დიდებულია

დიდი ქალაქიდან ბებიასთან შვილიშვილი ჩავიდა სტუმრად. საღამოს, როდესაც ფანჯრის ახალი თეთრი პურით და ახალმოწველილი რძით, შვილიშვილი და ბებია მოხერხებულად მოწვევენ ტერასაზე და აკვირდებოდნენ მზის ჩასვლას. სამხრეთში უფრო მალე წვება სიბნელე. მთვარე ჯერაც არ იყო ამოსული. ცა ჩამობნელდა და ვარსკვლავებით მოიჭვდა.

— ბებია, — აღტაცებით თქვა გოგონამ, — მე ჯერ არასოდეს მინახავს ამდენი ვარსკვლავები!

— ეს ცაა, ძვირფასო, — უპასუხა ბებიამ.

— იქ ღმერთი ცხოვრობს? — იკითხა შვილიშვილმა, მას თვალი არ მოუწვევია საოცარი სილამაზისთვის.

— არა, ღმერთი ზეცაში ცხოვრობს, ის კი, რასაც ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ მისი ანარეკლია.

— მესმის ბებია, ეს ალბათ ხალიჩასავით არის, რომელსაც ქსოვ, — თქვა შვილიშვილმა და ხელი დაზვისკენ გაიშვირა, რომელზეც გადაჭიმული იყო ხალიჩა.

— ჩვენ მხოლოდ მეორე მხარეს ვხედავთ. ბებია, თუ ანარეკლი ასეთი ლამაზია, თუ ვადა ზეცა ხომ წარმოუდგენლად უკეთესი იქნება!

ბიბლიაში ხშირად გვხვდება მოწოდებები ყურადღება მივაქციოთ ღრუბლებს, მთებს, ცას, ვარსკვლავებს, ხეებსა და ყვავილებს — ყველაფერი ლამაზად და ჰარმონიულად არის შექმნილი. ღმერთს სურს, რომ ჩვენ შევამჩნიოთ ეს სილამაზე. მან ეს ყოველივე ჩვენთვის შექმნა. მას სურს, რომ ვხედავდეთ მის საქმეებს და ვხარობდეთ იმით, რომ ის არსებობს, რომ მას ვუყვარვართ და გვჩუქნის ასეთ მშვენიერ სამყაროს.

„დააკვირდით ველის შროშანებს, — ამბობდა იესო ქრისტე.

— სოლომონიც კი, მთელი თავისი დიდებით, არ იყო შემოსილი ისე, როგორც ერთი ამათგანი!“ ვარდის ფურცლებით დაწყებული და თოვლიანი მწვერვალებით დამთავრებული — ყველაფერი შემოქმედის დიდებულებაზე ლაპარაკობს. ვერ დაინახო ყოველივე ამაში ღმერთის ბრწყინვალე ხელოვნება არა მარტო უგუნურებაა, არამედ სახიფათოც არის. მოციქული პავლე გვაფრთხილებს, რომ ადამიანები, რომლებიც ხედავენ ქმნილებას, მის სილამაზეს და უარს ამბობენ ყოველივე ამაში დაინახონ ღმერთი, უგულებელყოფენ მას! სწორედ ამის შემდეგ იფლება მათი გული ცოდვით, სიბნელითა და ბოროტებით. სავალალოა ასეთი ადამიანების ხვედრი.

ჩვენ, ღმერთის მორწმუნე ადამიანები, ყოველთვის ვხარობთ, როდესაც ვხედავთ მთებსა და ველებს, შემოდგომის ფერებით აჭრელებულ ტყეებს, ლაყვარლებში მცურავ თეთრ ღრუბლებს. . .

მშვენიერებაა მთელი ქმნილება და ის ჩვენთვის არის ქმნილი. ამიტომაც უნდა მივაგოთ უფალს მადლიერება, პატივი და მოკრძალება.

ჭიშნის შემოქმედს

რ. შ.

ზღვარი არა აქვს აღტაცებას —
შენი ქმნილია ყოველივე უფალო!
ამ სილამაზით ტკბობისათვის
არ გვეოფნის სშირად ჩვენ ძალა.

არც ცოდნა გვეოფნის და არც სიტყვები
შენი საქმეების აღსაწერად.
შენს სიბრძნესა და შენს ძალას
მუდამ უნდა ვასხავდეთ ხოტბას!

შენი ქმნილია პლანეტები და
ვარსკვლავები, მათი მოძრაობის წესიც
შენი დადგენილია.
ანგელოზებიც შენ ჰქმენ ძლიერნი
და მათი ბაგეებიდანაც გვეკუთვნის ქება!

სიბრძნით გათვალე ღრუბლებში
წყალთა წონასწორობა
დადე მდინარეთა კალაპოტები
და წამომართე მაღალი მთები!

ჭკუა მიეცი ვეშაპებსა და დელფინებს,
რომ ენავარდით ოკეანეებში,
გაღამფრენ ფრინველებსაც მიეცი ჭკუა,
და ისინი ცნობენ თავიანთ მარშრუტებს.

შენ მოუხატე პეპელებს ფრთები
და შემოდგომის ფერადონებაც
შენი ქმნილია.
შენ გააჩინე ყვავილები და ფერები,
ხეებითა და ბალახებით მორთე მინდვრები.

მარცვალშიც შენ ჩადე ძალა,
რომ თავთავები წამომართულიყო.
ხმაც შენ მიეცი მგალობელ ჩიტებს
რომ შენთვის ემღერათ და ეგალობათ.
ზღვარი არა აქვს აღტაცებას!

დიდებულია შენი სიყვარული!
რადგანაც მოკვდი ჩვენი ცოდვებისათვის
და სისხლი დაღვარე
გოლგოთის ჯვარზე.

ნახატი ა. ვ.

იქი თუ არა...

რომ კუზიანი ვეშაპი კვლავზე
მუსიკალური ცხოველია
ძუძუმწოვრებს შორის? ამასთან მას
არა აქვს ხმის იოგები. კუზიანი
ვეშაპების სიმღერები ძალზე რთულია,
შეიძლება 35 წუთამდე გრძელდებოდეს
და ისმოდეს ასეულობით კილომეტრის
მანძილზე.



ჩემი ოცნების სხვენი

ე. მ.

თაზი 2

შაბათ დილით ფუტკარაძეების მანქანა მიაღვა ნიკას შესასვლელს. ნიკა უკვე ელოდებოდა მათ და ხელში დედის გამომცხვარი ჭერმის ჩირის ნამცხვრები ეჭირა. გარდა ამისა იდლიაში ტუბუსიც ამოეჩარა, რომელშიც ვარსკვლავიანი ცის რუკა იდო.

მაიას დედამ როცა დაინახა ნამცხვრები, თქვა: — ეს რა საჭირო იყო? . . .

მამამ კი სიხარულით გამოართვა ნიკას პარკი, მაშინვე პირისაკენ გააქანა ჯერ კიდევ თბილი ნამცხვარი და თვალი ჩაუკრა ნიკას.

ერთი საათის შემდეგ უკვე ადგილზე იყვნენ. აგარაკი მაღალ ბორცვზე იდგა, დაბლა მდინარე მოედინებოდა, თუმცა ახლა მხოლოდ ამისი თქმა

თუ შეიძლებოდა, რადგან გაყინული იყო. მდინარის გაღმა დათოვლილი ტყე ჩანდა. იქ გადასვლა მდინარეზე გადებული ძელების ხიდით იყო შესაძლებელი.

ნიკას ძალიან მოეწონა აგარაკი — ძველებური სოფლის სახლი ბალით, ჭითა და საჩხვით. ყველაფერი ისე ლამაზად იყო დათოვლილი, რომ ხელის ხლება არ უნდოდათ, მაგრამ მოუწიათ: მაიას მამამ და ნიკამ გაწმინდეს სახლისაკენ მიმავალი ბილიკი. ამ დროს კი მაია დედასთან ერთად ანთებდა ღუმელს. როცა აჭარხლებული კაცები სახლში შევიდნენ, იქ უკვე თბილოდა.



ღუმელში შეშა სასიამოვნოდ ტკაცუნობდა, ხოლო თუჯის პლიტაზე, რაღაც თუნთუხებდა და სასიამოვნო სუნს გამოსცემდა. შუა ოთახში დიდი მაგიდა და სკამები იდგა. შორეულ კედელთან არსებული კიბე კი მაღლა სხვენში აღიოდა. ნიკა მაშინვე მიხვდა, რომ იქ უნდა ასულიყო. მან სცადა მაიასთან გაერკვია რა იყო მაღლა, მაგრამ მაიამ იღუმალ უპასუხა:

— სადამოს გაიგებ.

ნიკამ ძლივს მოიცადა იმ მომენტამდე, სანამ მაიას მამა იტყოდა:

— აბა, ვაჩვენოთ სტუმარს ჩვენი სხვენი?

ისე იჩქარა ნიკამ კიბისკენ, რომ კინაღამ წააქცია მაია და არცთუ ტყუილებრალოდ. კიბის საფეხურები ჭრაჭუნობდა და მსოფლიოში ყველაზე საინტერესო ადგილისაკენ მიჰყავდა მასზე მდგომები. რა არ იყო იქ! გრამაფონი სპილენძის ტრუბით, თაროები ძველი წიგნებით, ჭედური ზანდუკი, ძველებური ბარომეტრი და ტელესკოპი! ნიკას ყელში ბურთი გაეჩხირა ამდენი საინტერესო რამ რომ დაინახა:

— ეს ხომ ჩემი ოცნების სხვენია მაია! შენია ეს ყველაფერი?

— არა, ჩემია! — უპასუხა მაიას მამამ. — შეხედე, მეც მაქვს ვარსკვლავიანი ცის რუკა.


— ჰო, ო? რატომ არიან აქ ამდენი ცხოველები? გველები. . . მორიელები. . .

— ეს პირველი ნაბეჭდი რუკაა. ქვემოთ წარწერაა ლათინურად: „იოჰან სტაბიიმ მიმართა — კონრად ჰეინფოგელმა განალაგა ვარსკვლავები — ალბრეხტ დიურერმა აავსო წრე გამოსახულებებით.“ დიდმა გერმანელმა მხატვარმა დიურერმა თანავარსკვლაველები ბერძნული მითოლოგიის მიხედვით გამოსახა.

— რატომ უნდა წარმოადგინოთ თანავარსკვ-

ლაველები ამგვარად? — ნიკას სახე შეეჭმუნა მორიელის შემხედვარეს.

— არ ვიცი, რატომ მოუვიდათ თავში ასეთი სახეები ძველ ასტრონომებს, რომლებიც ათვალიერებდნენ ვარსკვლავებიან ცას. . . ალბათ, მათაც ის დაემართათ, რაც ყველა ადამიანს ემართება ვარსკვლავიანი ცის თვალიერებისას. გულში შიში შეეპარათ. მათ არ ჰქონდათ ტელესკოპები, თუნდაც ისეთი მარტივი როგორც ჩემია.



თუმცა ადამიანები შეჰყურებდნენ ცას და ხედავდნენ, რომ დღითი-დღე, წლიდან წლამდე, ციდან მათ ერთი და იგივე ვარსკვლავები უყურებენ. მათ უცნაური კავშირი შეამჩნიეს ზოგიერთ მათგანს შორის; ეს ვარსკვლავები უმოძრაონი ჩანდნენ ერთმანეთთან მიმართებით, ანუ წარმოადგენდნენ გარკვეულ თანავარსკვლავედებს. ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ანტიკურმა სწავლულმა პტოლემემ დაწერა 13 ტომიანი შრომა ასტრონომიაში — „ალმაგესტი“, რომელიც მრავალი საუკუნის მაძილზე ძირითადი სახელმძღვანელო იყო ასტრონომებისათვის. შესაძლოა დიურერიც ალმაგესტით სარგებლობდა, როცა თანავარსკვლავედებს იმ დროის ადამიანებისათვის გასაგებ სახეებს აძლევდა.

— ჰო, ლამაზად არის დახატული, თუმცა მე ის მომწონს, რომ ჩემს რუკაზე არ არის ეს ნიშნები დახატული. შეიძლება ტელესკოპში გავიხედო?

— გაიხედე რა თქმა უნდა, გაგიმართლა, დღეს ცა უღრუბლოა, მთვარეც თითქმის სავსეა.

ნიკამ მივიდა ტელესკოპთან:

— შეხედე! რამხელა ვარსკვლავებია! მთვარე კი. . . შეხედე მაია, მასზე რაღაც მრგვალი ლაქები ჩანს. . .

— ეს მთვარის კრატერებია, — უპასუხა მაიამ.

— აი ეს წითელი ვარსკვლავი! როგორი ლამაზია!
— ალბათ მარსია.

— ეს კი! შეხედე, შეხედე! ეს სატურნია, მე ვიცი, რომ მას რგოლები აქვს. ვხედავ სატურნის რგოლებს! შეხედე მაია! — აღელვებისგან ნიკას დაავიწყდა, რომ ტელესკოპში ერთდროულად ორნი ვერ გაიხედებოდნენ.

მაია და მამამისი იღიმებოდნენ, ხედავდნენ რა აღტაცებულ ნიკას. შემდეგ მამამისი დაჯდა ნიკას გვერდით და დაიწყო მოყოლა იმის შესახებ, კიდევ რისი დანახვა შეიძლებოდა ამ ტელესკოპით:

— ეს სამოყვარულო ტელესკოპია, ამიტომაც მისი შესაძლებლობები შეზღუდულია. თუმცა შეგვიძლია დავინახოთ შხის სისტემის ჩვენთან ახლოს მყოფი პლანეტები; ასევე ზოგიერთი კოსმოსური ობიექტი, რომლებიც ჩვენგან ძალიან შორს არიან. აი შეხედე, ეს ანდრომედას ნისლეულია, ეს კი პლეადის.

— რა ლამაზია! — სული მოითქვა ნიკამ. — ცოტათი მეშინია კიდევ, როდესაც ვუყურებ ამ სილამაზესა და დიდებულებას!

— ტელესკოპში როცა ვიყურები, მე ხშირად წარმოუთქვამ ამ სიტყვებს: „დიდია და საკვირველი შენი საქმენი, უფალო ღმერთო, ყოვლისმპყრობელო. . .“ — განაგრძო მაიას მამამ.

მაია გადაეხვია მამას:

— მე კი ეს მუხლი მახსენდება ბიბლიიდან: „რომელმაც შექმნა ხომლი და ორიონი, რომელიც





კუნაპეტ ღამეს აისად აქცევს და ღღეს ღამესაგით აბნელებს; რომელიც მოუხმობს ზღვის წყლებს და მიწის პირზე მოაქცევს — უფალია მისი სახელი!“ (ამო. 5:8).

— ღმერთი მშვენიერია და დიდებული! ვფიქრობ, შიში და ცახცახი ჩვენს გულებში იმიტომ ჩნდება რომ ჩვენ ვაწყდებით ჩვენთვის მიუწვდომელ ცნებებს. — მარადისობასა და უსასრულობას, — თქვა მამამ. — ჩვენ ვხედავთ ვარსკვლავებს, რომლებსაც უყურებდნენ აბრაამი, მოსე, იოანე. . .

— მე კი საერთოდ აღარაფერი მესმის, როდესაც მარადისობასა და უსასრულობაზე ვფიქრობ, — გულწრფელად აღიარა ნიკამ.

— შენ მარტო არ ხარ მეგობარო, — მიუგო მაიას მამამ ნიკას. — მეც არ მესმის, როგორ გადაწყვიტა მარადიულმა, უსასრულო, ყოვლადძლიერმა და ყოველისშემძლე ღმერთმა საქმე ჰქონოდა ჩვენთან. . . კიდევ მინდა რაღაც მოგიყვე, მაგრამ არა ახლა. გეგსმით, დროა — დედა გვეძახის ჩაის დასალევად.

— ჰიტნის ჩაი, თაფლითა და ნამცხვრით, — დაახუსტა მაიამ.

— შენ, ფუტკარაძე, თავში მხოლოდ პროზა გაქვს, თუმცა მართლაც საინტერესო. . . — თქვა ჭრაჭუნაკებისაკენ მიმავალმა ნიკამ.



ნახატი ვ. დ.

კონკურსი ბრძანდება!

«მოგზაურობა ვარსკვლავებიან ცაზე» — ეს არის ექვსი თავისაგან შემდგარი მოთხრობა, დავალებით თითოეული თავის ბოლოს.

თქვენს წინაშე მორიგი დავალბაა!



დავალბა

1. რომელ პლანეტას აქვს რგოლები?
2. გაშიფრე, ჩაიწერე და ისწავლე მუხლი ბიბლიიდან.

↔⊕⊙↓	⊕⊕←☾	⊕⊕☾	☾⊕→↓⊙↓
⊙⊕⊕☾←★⊙↓	⊕⊕	⊕↓⊕⊕↑★	
⊕⊕⊕←☾☾⊕⊕	⊕↓⊕⊕↑★	●⊕⊕⊕★⊕;	
⊕☾☾↑⊕☾⊙	↑⊕→↓⊙	⊕⊕⊙★⊙⊙	
⊕⊕	⊕↓☾⊕→★↓⊙	⊕⊕☾	⊕↓⊕↓⊙
↑★⊕⊕⊙↓★⊙.	☾←⊕⊙↓⊕	⊕↓⊙↓	
⊙⊕↓★⊙↓!		(⊕⊕. 9:6)	

⊙⊕	ღ⊕	ფ+	☾	ს⊙	☾↔	⊕⊕
⊕⊕	ქ★	კ●	ო☾	ო☾	⊕⊕	ღ⊕
⊕→	ზ↑	ლ⊙	პ●	შ☾	ქ☾	
⊕←	ი↓	მ⊕	რ★	ს↓	შ●	

ჩოგოჩ გაშოეცხადა ღმერთი იოზს

3. 3.


ძველ დროში, როდესაც ჯერაც არ იყო დაწერილი ბიბლია, ყუცის ქვეყანაში ცხოვრობდა მდიდარი და ცნობილი ადამიანი, სახელად იობი. მას შვიდი ძე და სამი ასული ჰყავდა. სატანამ გადაწყვიტა გამოეცადა იობის ერთგულება ღმერთისადმი. ღმერთმა მისცა მას ამისი უფლება. ძალიან ბევრი ტანჯვა დაატყდა თავზე იობს: მან დაკარგა სიმდიდრე, შვილები დაეხოცნენ, თავად კი საშინელი სენი შეეყარა. იობის მეგობრებმა იმის ნაცვლად რომ მისთვის ნუგეში ეცათ დაიწყეს მისი მხილება, დარიგება და სწავლება. იობს კი მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: პასუხი ღმერთისგან. მას სურდა გაეგო, თუ რატომ უნდა გადაეტანა ამდენი ტანჯვა, რადგან იცოდა, რომ ისეთი არაფერი ჰქონდა ჩადენილი. იობს განსაკუთრებით ის თრგუნავდა, რომ უფალი აგვიანებდა პასუხს, ამიტომაც მან დაიწყო ღმერთის საყვედური.


და აი, ბოლოს და ბოლოს, ღმერთმა უპასუხა იობს ქარიშხლიდან! იობს ესმოდა ღმერთის ხმა და პასუხობდა მას. რაზე ლაპარაკობდა ღმერთი იობთან? ო, ეს საოცარი ისტორიაა, საოცარი სიტყვები!

„შეხედე ცას, იობ, — უთხრა მას ღმერთმა. — ეს ყოველივე შენ შექმენი? შენ დასხი ცაზე ვარსკვლავები? თუ შეკრავ ხომლის საკვრელებს ან ორიონის საბელებს თუ გახსნი? თუ უბრძანებ ცისკარს, რომ გაანათოს ცა, თუ ბრძანებ და მოგა წვიმა? ნუთუ იცი, რა ბილიკებით მოძრაობს ნათელი? ან რაზე დგას დედამიწა? მიპახუსე, სად ინახება ნათელი ან ბნელი? იქნებ მოინდომებ, მარტორქას უღელში შეაბავ და მოხნავ შენს მინდორს, შემდეგ კი შეაგროვებ მოსავალს? შეხედე არწივს, სად იკეთებს ბუდეს,



ნახატი ლ. გ.





მიუდგომელ სიმაღლეებზე. იფიქრე რა შორს ხედავს. . . ჯერაც გინდა, რომ შემეჯიბრო და მასწავლო რამე?

იობმა უპასუხა: „მე — არარაობა ვარ შენს წინაშე! რა უნდა ვთქვა?! ერთხელ ვთქვი, მეორეჯერაც, ახლა კი აღარაფერს ვიტყვი.“

მაგრამ უფალი განაგრძობდა იობთან ლაპარაკს: „აი ბეჭემოთი, რომელიც მე შევქმენი... ის-ღეთის ქმნილებათაგან პირველია; მხოლოდ მის გამჩენს შეუძლია დაჰკრას მას მახვილი.“ და ღმერთმა აღუწერა იობს ბეჭემოთი: კუდს კედარით ღრეკს. მისი ხახიდან ორთქლი ამოედინება. . .

მისი ძალა აღუწერელია, მისი ფეხები ბრინჯაოს მილაკებია, ძვლები რკინის წნელებივითაა, ბარძაყის ძარღვები გადაგრეხილი აქვს (მხედველობაშია დინოზავრი, თუმცა იმ დროს, როცა ჩაიწერა ეს ისტორია ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ არსებობდა).

უფალმა განაგრძო ლაპარაკი, და იობის ყურადღება მიაპყრო მისგან შექმნილ ცხოველთა სამყაროს ძლიერებასა და სილამაზეს, დედამიწის ბუნების სრულყოფილებასა და თავად სამყაროს.

იობმა მორჩილებით უპასუხა ღმერთს: „ვიცი, რომ ყველაფერი შეგიძლია! და შენი განზრახვა არ დაბრკოლდება. ამიტომ თავს ვიდრეკ და ვინანიებ მტკვერსა და ნაცარში.“

უფალმა განკურნა იობი და მისცა მას ორჯერ უფრო მეტი ქონება. იობი კვლავ გახდა მდიდარი და გავლენიანი კაცი აღმოსავლეთში. მას კვლავ გაუჩნდა შვიდი ძე და სამი ასული. ამ მოვლენების შემდეგ იობმა კიდევ იცოცხლა ას ორმოცი წელი და მოკვდა სიბერეში, ღლებით სავსე.


როგორ ფიქრობ?

1. ვინ გადაწყვიტა იობის გამოცდა??
2. ვინ ცდილობდა იობისათვის ნუგეშისცემას?
3. რით დამთავრდა საუბარი იობსა და ღმერთს შორის?

ღმერთის სიტყვა იობის მიმართ შეგიძლია წაიკითხო იობის წიგნის 38-42 თავებში.

ართანაბარი წყვიდი

პ. უ.



ნახატი ე. პ.

საჩიოდან 'ვიკიპედია' ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ

— ჩვენ ტრადიციების მიხედვით გოგონებს საქორწინო ცერემონიაზე გამოჰყავთ ტრელი (რაკრაკი), რითაც თავიანთ სიხარულს გამოხატავენ, — თქვა ელიზაბეტმა.

— აი ასე, — შეაწყვეტინა მას ლისომ და გამოიყვანა, სიხარულით საესე, ლამაზი ტრელი. — იმისათვის, რომ ასეთი ხმა გამოსცე, საჭიროა სწრაფად ამოძრაო ენა აქეთ-იქით!

ექიმს გაეცინა:

— მე მხოლოდ ენის გამოყოფა შემიძლია!

— თუ ცოტას ივარჯიშებ, შენც შესძლებ ტრელის გამოყვანას, — თქვა ერთ-ერთმა აფრიკელმა გოგონამ.

ამ დროს კი მათ გვერდით ჩაუარეს გახარებულმა ადამიანებმა, რომლებიც სიმღერებს მღეროდნენ.

— არ მინდა ქორწინებაზე დამაგვიანდეს! — თქვა იულიტმა. ხელიხელჩაჭიდებულებმა გოგონებმა გასწიეს ეკლესიისკენ.

— ექიმო, — თქვა ტემომ, — ეს ორნი, რომლებიც დღეს ქორწინდებიან, ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებიც აიცრნენ. ისინი ბევრ რამეზე ერთნაირად ფიქრობენ.

სალამო ხანს დიდხანს ისმოდა დაფდაფების საზეიმო ხმები. ბავშვები კი კვლავ შეიკრიბნენ ბაობაბის ქვეშ. ელიზაბეტი აღელვებული იყო:

— ეს შესანიშნავი ქორწინება იყო! — თქვა მან.

იულიტმა თანხმობის ნიშნად მას თავი დაუქნია. დაუდი, ექიმის თანაშემწე, გოგონებისკენ შეტრიალდა:

— თქვენ ალბათ ფიქრობდით იმ დღეზე, როცა თქვენც გათხოვდებით, ხომ ასეა?

შეცბუნებულმა ელიზაბეტმა, სახე ხელებით დაიფარა, იულიტმა კი გაიცინა:

— დაუდი, საიდან იცი, რომ ჩვენ ამის შესახებ საერთოდ ვფიქრობთ?

დაუდიმ ჩაიცინა:

— თქვენ ძალიან გონივრულად იქცევით, როდესაც ადრევე ფიქრობთ იმის შესახებ, რასაც ბიბლია ამბობს ცხოვრების თანამგზავრის ამორჩევაზე.

— ბიბლია რამეს ამბობს ამის შესახებ? — იკითხა იულიტმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა დაუდი. — ამ წიგნში ღმერთი გველაპარაკება თუ როგორ უნდა მოაწყოს ადამიანმა თავისი ცხოვრება უკეთ.

— და რა უნდა გავაკეთოთ? — იკითხა კალიმ.

— კარგი იქნება თუ დაუდი მოყვება ისტორიას. .. — წაიზურჩულა მგოგომ. — საინტერესოც იქნება და პასუხსაც გავიგებთ.

დაუდი, რომელიც ტაბურეტზე იჯდა, წინ გადაიხარა და დაიწყო მოყოლა.



დიკ-დიკმა შეხედა ჰიპოპოტამ ბუხუს: „ამბობენ, რომ როცა საზამთროები დამწიფდება, ჯუნგლებში ჩატარდება შეჯიბრი სირბილში.“ — „ჰმ, საზამთროები? მე მიყვარს საზამთრო,“

— თქვა ბუხუმ და ნერწყვი დაეძრა. ის შევიდა მდინარეში და როცა ცურავდა, ისევ საზამთროზე ფიქრობდა. ამიტომაც ვერ გაიგო, როგორ მოუხმო სპილო ნემბომ ყველა ცხოველს საერთო

კრებაზე. სპილომ დაწვრილებით ახსნა შეჯიბრის წესები. პრიზმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ბოლოს ნემბომ თქვა: „კარგად იფიქრეთ და მზის ორი ამოსვლის შემდეგ ისევ მოდით აქ.“



თუ კითხვები გექნებათ, იცით სად უნდა მიპოვოთ.“ — „ვიცი, რაც უნდა გავაკეთო! — წამოიძახა მარტორქა ფარუმ. — მე თანაბრად უნდა გავათრიო დიდი ქვა თეთრ ქვიშაზე, რათა ჩემს



შემდეგ პირდაპირი კვალი დავტოვო.“ — „მთლად ასე არაა, — შეეპასუხა ნემბო. — ქვა უნდა გაათრიოს ორმა და არა ერთმა.“ ფარუ უკმაყოფილო იყო: „ესეც შენ! ამ შემთხვევაში საზამთროს



ორად გაყოფა მომიწევს. რა დასანანია! საჭიროა ჰიპოპოტამ ბუხუს პოვნა. ის თითქმის ჩემი ზომისაა. საზამთროც უყვარს. მას ვთხოვ ჩემთან ერთად გამოვიდეს შეჯიბრზე.“ მაიმუნმა ტოტომ



დაინახა, როგორ გაიქცა ის და თავის შემდეგ მტერის კორიანტელი დააყენა. „მას საზამთროს ერთი ნაჭერიც კი არ შეხვდება, — თქვა მან, როცა დიკ-დიკს ელაპარაკებოდა. — ჩვენ შეგვიძლია



ერთად მივიღოთ მონაწილეობა! ადვილად მოვიგებთ შეჯიბრს.“ — „კი მაგრამ, ძნელი არ იქნება, რომ შენ ორი ფუხით ირბინო, მე კი ოთხი ფუხით?“ — შეეკითხა ჩაფიქრებული დიკ-დიკი.



„ცხადია არა! — დარწმუნებით უპასუხა მაიმუნმა. — შევეცდები შენს ქვეშ მოვეწყო. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ზომ ორივეს გვინდა საზამთროს მიღება?“ დიკ-დიკმა თანხმობის ნიშნად თავი



დაუქნია. ის გაცემით ათვალეიერებდა ხვიარა მცენარეს, რომელიც ასო ყ-ს ჰგავდა. მის ორ ბოლოზე იყო ყულფები, სადაც მონაწილეებს თავები უნდა გაეყოთ, მესამეზე კი ქვა იყო მიბმული.




ტოტო ქვიშაში გორაობდა. შემდეგ იმისათვის, რომ ეჩვენებინა თავისი ძალა, დაეჭიდა დიდ ქვას. დიკ-დიკი შეტბა ჭინაჭველების ბუდეზე და ჰკითხა: „ტოტო, არ გეჩვენება, რომ ჩვენ სპილოს



უნდა დაველაპარაკოთ? ის ბრძენია და...“ — „თუ გინდა, დაველაპარაკე!“ — უპასუხა ტოტომ და არც კი უფიქრია, რომ მას აკვირდებოდნენ პავიანები გუნი და ლუნი. შემდეგ მკერდი გამართა



და ასწია ქვა. ჟირაფი ტვიგა და სხვა ჟირაფი, მასზე მცირე, რომელიც ამ დროს ბაობაბის ფოთლებს ღეჭავდა, წვიდნენ სპილოსთან და მასთან რაღაცის შესახებ დიდხანს საუბრობდნენ.



საუბრის ბოლოს ნემბომ ხორთუმიტ შორს მდგარ უცნაური ფორმის ხეზე მიუთითა მათ. როცა ისინი მიდიოდნენ, ტვიგამ დაასკვნა: „შეჯიბრების მოგების მხოლოდ ერთი შანსია. ნემბო



ყველაფერს სწორედ ამბობს.“ ტვიგამ გახედა იმ ხეს, რომელიც შორს იდგა. ორი დღის შემდეგ ცხოველები შეიკრიბნენ გრძელ ქვეიშიან სანაპიროზე.



მართორქა ფარუს მძღვრმა ხმამ ყველა აიძულა მისკენ შეტრიალებულიყო: „წავიდეთ ბუხუ! ორივეს ოთხ-ოთხი ფეხი და ორ-ორი თვალი გვაქვს! საზამთროც ორივეს გვიყვარს. კიდევ



რალაა საჭირო?“ ბუხუ ყოყმანობდა: „სხვა ჰიპოპოტამთან უკეთესი იქნებოდა წყვილში ყოფნა. ჰიპოპოტამი ჰიპოპოტამს უკეთ გაუგებს.“ — „არა ხარ მართალი! ჩვენ ერთი სიმაღლე და



აგებულებაც მსგავსი გვაქვს. ერთმანეთს ვგვევართ. მოდიტ დავიწყოთ!“ — „კარგი, — ძალიან გაუბედურად უპასუხა ბუხუმ. — თუმცა, მე ვამჯობინებდი სადმე ჩრდილში ვმჯდარიყავი. ადვილად



შეიძლება დავიწვა. ეს კი ძალიან ცუდია. თუმცა ამას ალბათ ვერ გაიგებ შენ.“ — „წავიდეთ, წავიდეთ! — არ ეშვებოდა ფარუ. — ყველაფერი გამოგვივა, აინახავ! განა არ გინდა საზამთრო?“



— „ცხადია მინდა. მაგრამ შენ რომ ჰიპოპოტამი იყო, გეცოდინებოდა, რომ ქვიშა ძალიან ცხელია. იცი, მტკივნეულია მასზე სიარული...“ უკმაყოფილო ბუხუ მაინც მივიდა



სტარტთან, ბურტყუნებდა და ამბობდა, რომ ასეთი სიცხის დროს გაცოფდებოდა. უცებ ბუხუ გაჩერდა, შეეცადა წინა ფეხით თავისი ზემო ტუჩის აწევას. ფარუ გოცებით მიაშტერდა: „წავიდეთ



ბუხუ! გაანებე თავი მაგ ტუჩს.“ — „ახლა დავაცემინებ... ა-ა-ფჩხი! არა, არა ცხვირიდან დამეძრა, თვალები ამიცრემლიანდა...“ „კარგი, კარგი, — უკმაყოფილოდ დაიფრუტუნა ფარუმ.



— თუ ახლა შენი ფეხები არ დაიწყებენ სირბილს, არ ვიცი რას გიზავ! — და ჯერ თავისი რქა, შემდეგ კი თავიც გაყო ყულფში. — წავიდეთ!“ ბუხუს მოუწია დამორჩილებოდა. მანაც გადაიცვა



თავზე ყულფი: „და საით მივდივართ? არა სჯობია ჯერ გზის შესახებ ვიმსჯელოთ, შემდეგ კი დავადგეთ მას?“ — „გეყოფა ლაპარაკი! ჩვენ უკვე უნდა წავიდეთ!“ ფარუ უკმაყოფილოდ




ცმუკაკვდა ადგილზე და მტკერს აყენებდა ირგვლივ. ტვიგა ბაობაბის ახლოს იდგა, თავს აქნევდა და ამბობდა: „როგორი არათანაბარი წყვილია! ისინი თანაბარ კვალს ვერ წაიღებენ.



როგორ შეძლებენ ასეთი განსხვავებული ცხოველები პრიზის მოგებას, თუნდაც ერთი სიმაღლის იყვნენ?“ — „აბა, მზად ხართ?“ — დაიძახა ზებრა პოკიმ. „რა თქმა უნდა მზად ვართ!“ — უპასუხა



ფარუმ. „მოიგებს ის წყვილი, რომელიც ყველაზე სწორ კვალს დატოვებს. — შეახსენა ყველას პოკიმ. — გამოდიტ სტარტზე, ყურადღება, წინ!“



რვა დიდი ფეხი მძიმედ დადგა ქვიშაზე. ელაში ფარუ პირდაპირ, თავისი რქმის გასწვრივ იყურებოდა. ისე ქშინავდა, როგორც ორთქმავალი. ჰიპოპოტამი ბუხუ ცდილობდა არ ჩამორჩენოდა



მარტორქას. ქვა, რომელსაც მიათრევდნენ აქეთ-იქით ქანობდა და ქვიშაზე ისეთ კვალს ტოვებდა, რომელიც გველის კვალს ჰგავდა. „სწრაფად!“ — დაიყვირა ფარუმ. „ჰოო...უპასუხა



მძიმედ მსუნთქავმა ბუხუმ. მან თავის წინ პალმა დაინახა. — ჯობია რაღაც ვქნათ, ჰმ...“ — „ცოტა ილაპარაკე და სწრაფად ირბინე!“ — ყვიროდა ფარუ, რომელსაც თავი დაბლა დაეწია და



თვალეებიც მოეხუჭა. ბუხუმ, რომლის გზაზეც პალმა იდგა, უბიძგა ფარუს, მისთვის გვერდი რომ აეელო. „რას აკეთებ?!“ — აღშფოთდა ფარუ. — როგორ მოვიგებთ, შენ თუ?..“ „შენ რა



ვერ ხედავ, რა არის ჩვენს წინ?“ — „ჩუმად! — გააწყვეტინა ფარუმ. — წინ ირბინე, სწრაფად!“ ბახ! მარტორქა ხეს დაეჯახა, და კინალამ წაიქცა. ხიდან ქოქოსის კაკლები ჩამოცვივდა და თავზე



დაეყარა. ბახ! ერთი კაკალი პირდაპირ ცხვირში მოხვდა. ბახ! მეორე კაკალი ბუხუს შუბლზე დაეცა. ფარუს თვალეები გაუწითლდა გააყვებისგან. რას აკეთებ?!“ დაიყვირა მან და ისევ წინ გაიქცა, თან



ქვას მიარბენინებდა, რომელიც ბაგირის გაწყვეტის გამო, მოულოდნელად ფარუს ზურგზე აღმოჩნდა. მარტორქა გამძვინვარებული იყო. მან მანამდე იქნია თავი სანამ ყულფი არ მოძვრა. შემდეგ ბუხუს გვერდში დაემგვრა



და ჯუნგლებში მიიმალა. ბუხუმ ძლივს მოითქვა სული. გარკვეული ხანი დასჭირდა იმასაც, რომ გონზე მოსულიყო. როცა, ბოლოს და ბოლოს გახსნა თვალეები, დაინახა როგორი არასწორი კვალი დაეტოვებინათ



მათ თავის შემდეგ. „რა საშინელებაა! თითქოს ასე ვგვევართ ერთმანეთს, თითქოს... მაგრამ სინამდვილეში განვსხვავდებით! სამწუხაროა, რომ ამის შესახებ სტარტის წინ არ ვიფიქრეთ.“

დაუდი გაჩუმდა და შეწყვიტა თხრობა. მან დაინახა რომ ბილიკზე მისკენ მედლა მორბოდა.
 — დაუდი, გვჭირდებით, იჩქარეთ! — მიმართა მან ექიმის თანაშემწეს.
 — უკვე მოვდივარ, — უპასუხა მან და უკან გაედევნა მედლას, მიმავალმა გამოსძახა ბაუშეებს: — აქ დამიცადეთ! დაებრუნდები და ისტორიას ბოლომდე მოგიყვებით.
 (გაგრძელება იქნება)



ნახატი ი. ჯ.

შეაჩვენე თუ გაკეთებულა

შეადგინა ე. ც.

დათვალე, სურათებზე
გამოსახული რამდენი საგანია
შექმნილი ღმერთისგან,
რამდენი კი ვაკეთებულა —
ადამიანისგან.



ნახატი ე. მ.

როცა მთვარე “გარდაიცვლება”

გაგრძელება

კისრიდან ჩამოიწვიტა საკიდი, რომელიც სამწუხაროდ, თითქოს ავადმყოფობებისგან იცავდა. ეს საკიდი შავი იყო, ბეი მას ატარებდა იმ დროიდან, როცა რამოდენიმე თვის წინ ქათამი შესწირეს დემონებს. რა კარგია, რომ შეიძლება ამით დამთავრდეს! მან სიხარულით მოისროლა ცეცხლში თილისმა, სადაც უკვე გიზგიზებდა ხის და ჩალის თილისმები სხვა ნივთებთან ერთად, რომლებიც ჭერში და კართან ეკიდა ბოროტი სულებისგან დასაცავად.

ყველაფერი, რითიც აქამდე ბოროტ სულებს ემსახურებოდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ, ცეცხლს მიეცა. ამიტომ გალობდნენ მისიონერები: „იესომ გაიმარჯვა სატანაზე!“ ბეი გაუბედავად მღეროდა. ბოლოს, მშობლებმა, ნანგმა, ჯომ და პატარებმაც კი დაიწყეს მღერა.

ჯერ მამამ, შემდეგ დედამაც მიმართეს იესოს და სთხოვეს ყველა ბოროტების, დემონებისა და ოპიუმისგან განთავისუფლება. ისინი მადლობდნენ, რომ იესომ თავის თავზე აიღო ყველა დანაშაული, ჯვარს ეცვა, მოკვდა და აღდგა, სულიწმიდის საშუალებით ახალი ცხოვრება გამოუგზავნათ და დაეხმარა მათ. იმავე დღეს მამა, უფროსი ბიძა და მისიონერი სოფლის უხუცესებთან წავიდნენ. მამამ უთხრა მათ, რომ წუხს ნაქურდალზე, რომ იესომ გაათავისუფლა ოპიუმისგან. მისიონერმა და ბიძამ დაადასტურეს მამის ნათქვამი და სთხოვეს სოფლის უხუცესებს, ცოცხალი დაეტოვებინათ მამა და ერწმუნათ მისი სიტყვის.

ნახაჭი თაკო მანისურაძე

უხუცესი დაეჭვდა:

— ეს უბრალო რამ არ რის — დატოვო ოპიუმის მოწვევა. . . , დაგეხმარება იესო, როცა კვლავ მოგინდება და ავადმყოფს დაემსგავსები? შეგიბრალებენ მეგობრები?

— შენ ხომ იცი, ჩემთან რაც იყო, — თქვა ბიძამ, — მე მეტად აღარ ვეწევი, თუმცა მკაცრი იყო ბრძოლა ამისთვის. მე ვუთანაგრძნობ ჩემს სიძეს.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ უხუცესი დაეთანხმა მათ სიტყვას და აღუთქვა, რომ უფროსებს უამბობდა ამ ყოველივეს, რათა მამისთვის მიეცათ შესაძლებლობა ახალი ცხოვრების დაწყებისათვის.

თავი X

ღამე, რომელშიც „გარდაიცვალა“ მთვარე

აი, ის ღამეც, რომლისაც ასე ეშინოდა ბეის და მთელ ოჯახს. მაგრამ მოხდა სასწაული, ახლა აღარაფერი იყო საშიში!

ღუმელის ნაცვლად სახლში გამოცოცხლება მეფობდა. სადილის შემდეგ მოვიდა უფრო-სი ბიძა ოჯახთან და მისიონერებთან ერთად. ცეცხლის შუქი იატაკს ეფინებოდა. ყველანი აღიდებდნენ ღმერთს ასეთი დახმარებისთვის.

მისიონერი ჰყვებოდა საინტერესო ისტორიას წიგნიდან, რომელიც ბეის ადრე ენახა, რომელსაც „ღვთიურ წიგნს“ ეძახდნენ.

ტერასაზე სოფლის მცხხოვრებლები შეკრებილიყვნენ. ისინი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, რა ხდებოდა ქრისტიანულ შეკრებაზე. უხუცესებიც იყვნენ მათ შორის.

სულ სხვანაირი იყო ღამე, რომელშიც „გარდაიცვალა“ მთვარე. რა მოხარულნი იყვნენ ოჯახის მეგობრები და მეზობლები, რომ მათ არ მოუხდათ გასროლის ხმის გაგონება, სამაგიეროდ ნახეს სულ სხვანაირი ოჯახის მამა, რომელიც ახლა ბედნიერი უგალობდა თავის ახალ უფალს და ღოცულობდა მის წინაშე!

ამ ღამით ყველაზე ბედნიერი იყო ბეი. ღია კართან მჯდარი ის დიდხანს შესცქეროდა მთვარეს, თხელ, ვერცხლისფერ რკალს, რომელიც ძლივს შეიმჩნეოდა, სანამ არ მიიშალა მთლიანად.

ყოველთვის, როცა ის ააპყრობდა თვალს ცისკენ, მისი გული ხარობდა: „მადლობთ, ძვირფასო იესო, მადლობთ!“

რუსეთი

1869–1935

ქრისტეანული



რუსი ევანგელისტი, ადამიანი, რომლის ცხოვრებაც მთლიანად იყო მიძღვნილი უფლის მსახურებისადმი

სამოცდაექვსი წელი — ეს ბევრია თუ ცოტა? სხვადასხვა ასაკის ადამიანები ამ კითხვას სხვა-დსხვანაირად უპასუხებენ. ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ეს ბევრია. მათთვის, რომლებმაც ორმოცს მიაღწიეს, 66 არ ჩანს მაინცდამაინც ბევრად. ხოლო ის, ვინც მიუახლოვდა ანდა გადააბიჯა ამ ასაკს იტყვის, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის სიბერე. სწორედ ამდენ ხანს იცოცხლა რუსმა ევანგელისტმა, ადამიანმა, რომლის ცხოვრებაც მთლიანად იყო მიძღვნილი უფლის მსახურებისადმი, — ივან პროხანოვმა. 30, ეს არც 100 და არც 80, მაგრამ ამდენის გაკეთება და გადატანა ბევრს არ ხვდომია წილად.

ივან პროხანოვი დაიბადა ვლადიკავკაზში მორწმუნე ოჯახში. მამამისი სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, იყო შეძლებული კაცი, თუმცა ცხოვრება არ უღზინდათ, ვინაიდან მეფის მთავრობა დევნიდა მათ, ვინც არ მიეკუთვნებოდა ოფიციალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას. პროხანოვები კი სახარებისეული თემის წევრები იყვნენ. პატარა ივანეს ბავშვობიდანვე ესმოდა ღვთის სიტყვა, დადიოდა ღვთისმსახურებებზე, ამიტომაც უკვე 17 წლის ასაკში მოინათლა და გახდა საკვირაო სკოლის მასწავლებელი.

როცა სასწავლებელი დაამთავრა მშობლიურ ქალაქში, ივანე სასწავლებლად სანკტ-პეტერბურგში გადავიდა. იმ დროს რუსეთის იმპერიის დედაქალაქი ხმაურიანი პოლიტიკური მოვლენების ცენტრი გახლდათ. ქვეყანა ომისა და რევოლუციის ზღურბლზე იდგა.

სტუდენტი პროხანოვი აქტიურად მონაწილეობს სახარებისეულ მოძრაობაში: ქადაგებს ეკლესიებში, ავრცელებს სახარებას მუშებს შორის, მონაწილეობს ახალგაზრდულ კონფერენციებში. მისი აქტიურობა იპყრობს ხელისუფლების ყურადღებას, და იმისათვის, რომ თავი აარიდოს დაპატიმრებას მიემგზავრება



მუშაობა ურნალ „ქრისტიანზე“

სასულიერო სავალოზღოვნის კრებული „ქნარი“



ინგლიში, სადაც სწავლობს ღვთისმეტყველებას ბრისტოლის კოლეჯში. იქ სრულად გაიშალა მისი პოეტური და მუსიკალური ნიჭი. 1901 წელს დაბრუნდა რუსეთში და დაიწყო ქრისტიანული ურნალებისა და გაზეთების გამოცემა (ცნობილი ურნალი „ქრისტიანი“ 1906 წლიდან 1928 წლამდე გამოდიოდა), წერს სასულიერო ჰიმნებს (სიტყვებსაც და მუსიკასაც), გამოსცემს წიგნებს. ასევე იურიდიულ დახმარებას უწევს ღვნილ ძმებსა და დებს.

1902 წელს პროხანოვი გამოსცემს სასულიერო საგალობლების პირველ კრებულს სახელწოდებით „ქნარი.“ შემდეგი წლების მანძილზე გამოდის სხვა ლექსები და საგალობლები, რომლებშიც ჩართული იყო უცხოელი და ადგილობრივი ავტორების ნაწარმოებები. სწორედ ივანე პროხანოვმა დაწერა და შეკრიბა ჰიმნები, რომლებიც დღემდე საფუძველი კრებულისა „ადორმინების საგალობლები.“ ამ კრებულის გარეშეც შეუძლებელია წარმოიდგინო რომელიმე დვთისმსახურება თანამედროვე რუსეთის სახარებისეულ ეკლესიებში. თავად ივანე პროხანოვი 600-ზე მეტი ლექსის ავტორია.

1909 წელს პროხანოვის აქტიური მონაწილეობით იქმნება სახარებისეული ქრისტიანების საერთო რუსული კავშირი—ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა მრავალრიცხოვან ჯგუფებსა და თემებს უფლის ერთობლივი მსახურებისათვის. მის პრეზიდენტად თავად პროხანოვი იქნა არჩეული, ორი წლის შემდეგ კი იგი მონაწილეობდა მსგავსი საერთაშორისო გაერთიანების მუშაობაში.


სახარებისეული ქრისტიანების კავშირი მისიონერებს აგზავნიდა ქვეყნის ყველაზე შორეულ მხარეებში, უკიდურეს ჩრდილოეთშიც კი, ხოლო მისი თანამშრომლების რიცხვმა 600 მიაღწია. ქრისტიანები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ასევე სოციალურ

თემცა, ეს თავისუფლება დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1923 წელს პროხანოვი დააპატიმრეს მოწოდებისათვის უარი ეთქვათ ყოველგვარ სამხედრო მოქმედებებზე. ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ დემეთისაგან დაშორებული ადამიანების გულები ისეთივე სასტიკი და გახვევებული დარჩა.

შემდგომში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა — ქვეყანაში მებრძოლი ათეიზმის კურსი იქნა აღებული. ეკლესიებს ხურავდნენ და მარცხავდნენ, მქადაგებლებს აპატიმრებდნენ, სახარების გავრცელება აიკრძალა, მორწმუნეებს დევნიდნენ. 1928 წელს ივანე პროხანოვი უცხოეთში წავიდა, იმედოვნებდა რომ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა, მაგრამ მალევე გახდა ცხადი, რომ თუ დაბრუნდებოდა ისევ დააპატიმრებდნენ. პროხანოვმა მიიღო რთული გადაწყვეტილება დარჩენილიყო უცხოეთში. იქ მან



ი. პროხანოვი
სახარებისეული
ქრისტიანების
ნიუ-იორკის თემში,
1925 წ.



გემზე
რუსეთიდან
ამერიკაში



სახარებისეული ქრისტიანების პირველი საერთო რუსული ყრილობა სანკტ-პეტერბურგში, 1909 წ. 14-26 სექტემბერი

საქმიანობაში: ეხმარებოდნენ ღარიბებს, პატიმრებსა და სნეულებს.

პროხანოვს კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა, ამიტომაც 1913 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა ბიბლიური კურსები მქადაგებლებისათვის, რამაც საფუძველი დაუდო პირველ პროტესტანტულ საღვთისმეტყველო სკოლას რუსეთში.

1917 წლის რევოლუციის პირველ წლებში, ქვეყანაში გამოცხადდა აღმსარებლობის თავისუფლება.

შვიდი წელი გაატარა, განაგრძობდა ლიტერატურულ საქმიანობას, მონაწილეობდა სახარებისეული ქრისტიანების მსოფლიო კავშირის მისიაში „შუქი აღმოსავლეთში.“ 1935 წლის 6 ოქტომბერს იგი მარადისობაში გადავიდა (ბერლინში).

ბევრი რამ მოიცვა 66 წელმა. ამაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ მის ავტობიოგრაფიულ წიგნში „რუსეთის ქვაბში,“ რომელზეც ივანე პროხანოვი თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მუშაობდა.

ბ. ო.


მეფე სოლომონის იახუსანიში



სამსხვერპლო ცხოველებს კლავდნენ და წვავდნენ. იპოვე სამსხვერპლო.



თავისი მოვალეობების შესრულების წინ, მღვდლები უნდა განბანილიყვნენ. იპოვე სპილენძის საბანელი.



ხელაგ ორ სპილენძის სვეტებს ტაძრის შესასვლელთან? პირველ სვეტს იაქინი ერქვა, მეორეს ბოჟაზი.



მრავალი სატაძრო ცერემონიალი მუსიკის თანხლებით სრულდებოდა. იპოვე მუსიკოსების ჯგუფი.



დავითი იყო მეომარი, რომელმაც განამტკიცა თავისი სამეფო სამხედრო გამარჯვებებით. ეს მის ძე სოლომონს დაეხმარა გამხდარიყო ძლევამოსილი და მდიდარი მმართველი.

სოლომონმა გადააკეთა იერუსალიმი, დავითის დედაქალაქი: ციხე-სიმაგრედან ის გადაიქცა დიდ ქალაქად, რომელშიც დიდებული ტაძარი და შესანიშნავი სასახლე იდგა.



სახურავებზე განთავსებული ჩარდახები იცავდნენ მზისგან. იპოვე 10 ჩარდახი.



რამდენ სასაწყობო ოთახს ხელაგ ტაძართან?



იპოვე 5 ბროწეულის ხე.



იპოვი 10 ასეთ
ქვესადგამს
საბანელებით?




შეხას დედოფალმა გრძელი
გზა გამოიარა, რათა
თავად დარწმუნებულიყო,
მართლა ისეთი ბრძენი იყო
სოლომონი, როგორც მასზე
ლაპარაკობდნენ. ხედავ მას?



საიდან
აკვირდება
მეფე
სოლომონი
ტაძარს?



სოლომონის
ბრძანებით
ტაძრისთვის
10 ოქროს
სასანთლე
გააკეთეს. რამდენი
მათგანი შეგიძლია
იპოვო?



ქვის დაფები
ათი მცნებით
სრაულიანებისათვის
უწმიდესი იყო.
ისინი ინახებოდა
ოქროს ყუთში ანუ
ალთქმის კიბოლანში.
ხედავ მას?




უცხოელი
დედოფლის
ჩამოსვლის
საპატივსაცემოდ
დიდი ნადიმი
გაიმართა. იპოვე
მზარეულები,
რომლებიც ხბოს
წვავენ.



სოლომონი დიდ
ვაჭრობას წვეოდა.
იგი ეგზოტიკურ
ცხოველებსაც
ყიდულობდა. იპოვე
სამი პავიანი.



სოლომონს ბევრი
ცოლები და შვილები
ჰყავდა. იპოვე ბავშვები,
რომლებიც თამაშობენ
საბანაო აუზში.



სოლომონს ბევრი ცხენები და
ეტლები ჰყავდა, ეს კი იმაზე
მეტყველებდა, რომ ის იყო
უძლიერესი მმართველი. იპოვე
სოლომონის ეტლი.



სოლომონი
ყიდულობდა კედარის
ხეებს საპორტო
ქალაქ ტვიროსში.
იპოვე ფორანი,
რომელიც მორებით
არის დატვირთული.



ნახატი პ. კ.

საზაფხულო ბანაკები



სექტემბრის დასაწყისში ჩატარებულ სამ დღიანი ბანაკი ბოლნისის ეკლესიაში, რომელსაც დაესწრო ოცამდე ბავშვი. მინდა ვისარგებლო მომენტით და მაღლობა გადავუხადო ყველა ბავშვსა და ლიდერს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ ბანაკში. ბანაკში გვქონდა ბიბლიის გაკვეთილი, რომელიც ძალიან მოეწონათ ბავშვებს, ასევე ხელსაქმე, სპორტი, სამაგიდო თამაშები, რომელშიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. სამი დღის განმავლობაში ბავშვები აგროვებდნენ ქულებს და ბოლო დღეს გააკეთეთ მადანია-აუქციონი, სადაც ბავშვებს შეეძლოთ დაგროვილი ქულებით შეეძინათ ტკბილეული და სხვა და სხვა სათამაშოები. მაღლობა ღმერთს, რომ სირთულეების მიუხედავად მაინც შევძელით ამ ბანაკის ჩატარება.



ამ წელს ჩატარებულ ყვარელი-ჩანთლისყურის გაერთიანებული ბანაკი, სადაც მონაწილეობა მიიღო 25-30 ბავშვმა. მაღლობა უფალს. რომ ყველაფერმა კარგად ჩიარა. მიუხედავად იმისა, რომ წვიმიანი ამინდები დაემთხვა, ბავშვებმა მაინც იხალისეს. ასევე ჩატარებულ ცალკე კუჭატნის ბანაკი, რომელიც ასევე წარმატებული იყო. ბანაკის ბოლოს მოვიპატიჟეთ მშობლებიც და მივიღეთ დადებითი გამოხმაურება. ახალი სასწავლო წლიდან ველოდებით ბავშვებს მომავლის კლუბში.






28 ივლისს დაიწყო და ჩატარეთ ხუთ დღიანი ბანაკი გურჯაანისა და ვაზისუბნელი ბავშვებისთვის. ჯამში 40 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. ბანაკი საკმაოდ ხალისიანი და ნაყოფიერი იყო. სწრაფად გაირბინა ხუთმა დღემ და ბავშვებს სახლებში დაბრუნება არ სურდათ. ძალიან სასიხარულოა ის, რომ ბავშვები რომლებიც პირველად იყვნენ ბანაკში, შემდეგ საკვირაო სკოლაშიც მოვიდნენ, ასევე ზოგიერთი ბავშვი ჩაერთო მეგობრებელთა გუნდში. მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც ბავშვთა ბანაკებში დადიოდნენ, დღეს უკვე თვად არიან მასწავლებლები და ლიდერები.



თავსაზენი

რომელი ორი
ხეა სრულიად
ერთნაირი?



ვეშაპე

ოკეანეში ცურავს
ვეშაპი.
მის ზემოთ კი
წვიმა წვიმს.
შადრევანებს ისვრის
მაღლა —
არ ეტყობა სულაც
დაღლა.



ტ. შ.



ციყვი

ციყვი დახტის
რტოებზე.
პატარებიც იქვე
ხტიან.
არ გეგონოთ
უსაქმური,
დედა ციყვი
გირჩებს უვლის.

ნახატი ე. მ.

«ქაროს ფურცელი»

შეადგინა კ. ნ.


სურათი ჩარჩოში

1.

მასალები

და ინსტრუმენტები:

წებო, ფუნჯიანი კალამი, მაკრატელი, წვრილი ბისერი (2-3 ფერის), მუყაო, 4 ჯოხი ჩარჩოსთვის, ყაყისფერი საღებავი, ნეკერჩხლის მშრალი ფოთოლი, კანაფის ბაწარი.



2.

ჯოხებს ვფარავთ საღებავით და ვაწებებთ მუყაოს ქაღალდზე.



3.

ვუსვამთ წებოს ნეკერჩხლის ფოთოლს და ვაწებებთ მუყაოზე.



4.

მუყაოზე მიწებებულ ფოთოლზე ვუსვამთ წებოს ისე, როგორც ფოტოზე არის ნაჩვენები.



5.

ფოთოლზე უხვად ვაყრით ბისერს.

6.

როცა წებო გაშრება, საჭიროა მოვაცილოთ ზედმეტი ბისერი. დეკორირებას ვაკეთებთ საკუთარი სურვილისა და გემოვნებისამებრ.



7.

სურათი — პანო მზად არის!



მ. ზ. 6 წლის, ბუჩანია



ბ. ბ. უჩიანი

ბ. მ. 5 წლის, ყუხუხი




ც. ს. 14 წლის, უჩიანი



ა. ჯ. 7 წლის, უჩიანი

18-19 გვერდების პასუხები:
7. მეფე სოლომონის იერუსალიმი



სამსხვერპლო 1
სპილენძის საბანელი 2
იაქინი 3
ბოყაზი 4
მუსიკოსები 5
ჩარღაზები სახურაულებზე 6,7,
8,9,10,11,12,13,14,15


ტაძრის სასაწყობო ოთახები 16, 17,
18, 19
ბროწეულის ხეები 20, 21, 22, 23, 24
ბავშვები საბანაო აუზში 25
ეტლი 26
ფორანი კედრის მორებით 27
პავიანები 28, 29, 30

მზარეულები წვავენ ხბოს 31
ალექსის კილოზანი 32
ოქროს სასანთლები 33,34,35, 36, 37,38,30
მეფე სოლომონი 40
შებას დედოფალი 41
ქვესაღამები საბანელებით 42, 43, 44, 45,
46, 47, 48, 49, 50, 51




ი. 3. 9 წლის, ახიინა

მოსა და მახოს ხბო



ს. ბ. 9 წლის, მოლოვა



ქ. ბ. 12 წლის, ახიინა

საბავშვო ქრისტიანული ჟურნალი გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

ვალდემარ ბენსალი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:

LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340, 70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ეკატერინე მოსიაშვილი

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 579117763

ელ ფოსტა: Ekomosiashvili@gmail.com

Facebook page: საბავშვო ჟურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა "სეზანში"

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

პასუხები:

გვ. 7 დაკვლევა:

„ცაში ააგო მან თავისი სამყოფელი და მიწაზე დააფუძნა თავისი კამარა; მოუხმობს ზღვის წყლებს და მიუღვრის მათ მიწის ზედაპირს. უფალია მისი სახელი.“ (ამ. 9:6)

გვ. 10 კროსვორდი „მიწის ნაყოფები“

ვერტიკალურად:

1. საზამთრო.
2. სტაფილო.
3. პომიდორი.
4. მალინა.
5. ნესვი.
6. მოცხარი.
7. ხახვი.
11. ყაბაყი.
12. ხურტკელი.

ჰორიზონტალურად:

1. სიმინდი.
6. მარწყვი.
8. მხესუმზირა.
9. კიტრი.
10. კარტოფილი.
13. ბადრიჯანი.
14. გოგრა.
15. წიწკა.
16. ბოლოკი.

ISSN1987-720X



9 771987 720007